ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 2021-15
(გამარტივებული შესყიდვა)

ერთი მხრივ, ერედვის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი გამგებლის ოთარ ცოტნიაშვილის სახით(ს/კ 218065055) და მეორე მხრივ, შპს ,,OK&CG“ (ს/კ 406053194) წარმოდგენილი დირექტორის დავით მუმლაძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანომდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1 გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარულ დღე, კვირა, თვე.
1.1.4„შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.1.6 „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „შემსყიდველი“ იურიდიული ფირმის მიმართ აკეთებს შეთავაზება-შეკვეთას, საადვოკატო იურიდიული მომსახურება გაეწიოს *ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გია ქრისტესიაშვილის მიმართ, თბილისის სააპელაციო სასამართლოში დავის წარმოების მიზნით. გასაჩივრებული გადაწყვეტილება: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე N 3/8711-15;*

2.2 იურიდიული ფირმა შპს ,,OK&CG“ (ს/კ406053194) შემსყიდველს საქმის ხასიათიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე იურიდიული მომსახურებისათვის გამოუყოფს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე, შესაბამისი სპეციალიზაციით კვალიფიცირებულ და სახელმწიფო ლიცენზიის მქონე ადვოკატებს:
1. ოთარ კაჭკაჭაშვილს - (იურისტი, ადვოკატი, სპეციალიზაცია საერთო, ადვოკატთა ასოციაციის სიითი #1919),

2. დავით მუმლაძეს- (იურისტი, ადვოკატი, სპეციალიზაცია საერთო, ადვოკატთა ასოციაციის სიითი #5089),
3. ანა გორდეზიანს- (იურისტი, ადვოკატი, სპეციალიზაცია კერძო სამართალი, ადვოკატთა ასოციაციის სიითი # 6876)

4. დათო კესარელს- (იურისტი, ადვოკატი, სპეციალიზაცია საერთო, ადვოკატთა ასოციაციის სიითი #8450)

5. სალომე მაისურაძეს- (იურისტი, ადვოკატი, სპეციალიზაცია კერძო სამართალი, ადვოკატთა ასოციაციის სიითი # 8532)

2.3 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის (CPV) კოდი: **79112000** - იურდიული წარმომადგენლის მომსახურება.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ***800 (რვაასი ლარი და 00 თეთრი) ლარი;***
3.2 მომსახურების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3.3 დაფინანსების წყარო: ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტი;
3.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

მუხლი 4. მომსახურების მიწოდების ვადები

4.1 მომსახურების მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
4.2 საქმის წარმოებიდან გამომდინარე მომსახურების მიწოდების ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

5.1.1 კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, ზუსტად და განუხრელად დაიცვან პროფესიული ნორმები, პროფესიული საიდუმლოებანი, შეასრულონ საპროცესო კანონმდებლობით მათთვის დაკისრებული მოვალეობები და ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობონ მიმწოდებელს, მიაწოდონ მიმწოდებელს საქმის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია. უზრუნველყონ მიმწოდებელის ინფორმირება საქმის გართულების, სამოქმედო გეგმის შეცვლის თუ მოსალოდნელი ფინანსური ვალდებულების ცვალებადობის შესახებ.
5.1.2 შემსყიდველის ინტერესების დასაცავად გამოიყენონ ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.
5.1.3 იქონიონ და მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინონ მხარეებს საქმის წარმოებისას მიმდინარე დანახარჯების ამსახველი დოკუმენტები.
5.1.4 უნდა იმოქმედოს შემსყიდველის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირად თუ სხვა ინტერესებზე მაღლა.
5.1.5 მიმწოდებელი ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული იურდიული მომსახურების გაწევისას მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

5.2.1 მოითხოვოს მიმწოდებლის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა კეთილსინდისიერად და ჯეროვნად განხორციელება.
5.2.2 მოითხოვოს მიმწოდებლის საქმესთან დაკავშირებული მასალების (დოკუმენტაციის) მისთვის დროული გადაცემა.

5.3 შემსყიდველი ვალდებულია:

5.3.1 საქმისათვის ყველა საჭირო დოკუმენტი და ინფორმაცია სწორად და დროულად მიაწოდოს ადვოკატ-წარმომადგენლებს.
5.3.2 შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისიწინებული ვალდებულებები.
5.3.3 შემსყიდველი ვალდებულია დროულად და სრულად გადაუხადოს ადვოკატს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული იურიდიული მომსახურების საფასური (ჰონორარი).
5.3.4 შემსყიდველი ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, ადვოკატის მოთხოვნისამებრ, საკუთარი სახსრებით, დროულად თარგმნოს და/ან ნოტარიულად დაამოწმებინოს საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები და მასალები.
5.3.5 შემსყიდველი ვალდებულია, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, მესამე პირებთან ურთიერთობაში, იმოქმედოს მხოლოდ ადვოკატთან წინასწარი შეთანხმებით და მისი თანხმობით.
5.3.6 შემსყიდველი ვალდებულია თავი შეიკავოს ნებისმიერი განცხადებისა თუ ქმედებისაგან, რაც წინასწარ არ არის შეთანხმებული ადვოკატთან.

5.4 შემსყიდველს უფლება აქვს:

5.4.1 მოითხოვოს ადვოკატებისაგან საქმის მიმდინარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია-განმარტება.
5.4.2 შეუზღუდავად განახორციელოს სატელოფონო თუ პირადი შეხვედრა-საუბრები ადვოკატ-წარმომადგენლებთან.
5.4.3 შემსყიდველს უფლება აქვს ვადაზე ადრე გაწყვიტოს ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ და უარი თქვას ინტერესების დაცვაზე.

მუხლი 6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიმსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას განახორციელოს 3.1 პუნქტით გათვალისიწნებული ხელშეკრულების ღირებულების სრული გადახდა, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.
6.3 შემსყიდველი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება აანაზღაუროს *თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ შემაჯამებელი გადაწყვეტილების (განჩინების) გამოტანის დღიდან 3(სამი) სამუაო დღის ვადაში.*
6.4 კეთილსინდისიერი, გულისხმიერი და პროფესიული ეთიკის შესაბამისი მომსახურების პირობებში გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება არაა დამოკიდებული საქმის შედეგზე და მიუხედავად შემსყიდველისათვის არასასურველი გადაწყვეტილების გამოტანისა, შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს სრულად გადაუხადოს შეთანხმებული თანხა.

მუხლი 7. წარმომადგენლობის ფარგლებაში

7.1 მიმწოდებელი უნდა დაემორჩილოს წარმომადგენლობის მიზნებთან დაკავშირებულ შემსყიდველის გადაწყვეტილებებს და უნდა შეათანხმოს მათი განხორციელების საშუალებები.
7.2 შემსყიდველის იურდიული წარმომადგენლობის განხორციელების დროს მიმწოდებელი იღებს დამოუკიდებელ პროფესიულ გადაწყვეტილებას და უზრუნველყოფს ობიექტურ მომსახურებას.

მუხლი 8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმდების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.
8.2 კონტროლს განახორციელებს: ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - *ალექსანდრე მაისურაძე;*

მუხლი 9. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

9.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.
9.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს: ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - *ალექსანდრე მაისურაძე;*

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

მუხლი 12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს საჯარიმო თანხის გადახდა, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

13.4 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მხრიდან ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 15. ფორს-მაჟორი და შესაძლო დავის განხილვის წესი

15.1 ფორს-მაჟორი არის საერთაშორისო სამართლით აღიარებული გარემოებები, რომლებიც მხარეს უშლის ხელს, ვალდებულების ჯეროვნად შესრულებაში. ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ზღუდავს მხარე, სრულად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, ან მისი ნაწილი.

15.2 დაუშვებელია ფორს-მაჟორის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

15.3 ფორს-მაჟორის წარმოშობისთანავე, თუ იგი საზოგადოდ არ არის გამოცხადებული, მხარეები ერთმანეთს აცნობებენ პირველივე შესაძლებლობისთანავე, კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმის მეშვეობით, რომლითაც შესაძლებელია ინფორმაციის მიწოდების დადასტურება.

15.4 შესაძლო დავის წარმოშობის შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების ადგილისა და მხარეთა იურიდიული მისამართების მიუხედავად, ნებისმიერ დავას, განიხილავს და გადაწყვეტს, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, საერთო წესით.

მუხლი 16. დამატებითი დებულებები

16.1. მხარეები ვთანხმდებით, რომ იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების საგნის ფარგლებში გაგზავნილი კორესპონდენციის ჩაბარება შესაძლოა განხორციელდეს პირადად მიმწოდებელს, რომელიც ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ შეატყობინოს იურიდიულ კომპანიას, წინააღმდეგ შემთხვევაში საადვოკატო იურიდიული მომსახურების გამწევი ფირმა პასუხს არ აგებს კორესპონდენციის ჩაბარების/ ჩაუბარებლობის შესაძლო შედეგებზე.

16.2 მხარეები ვთანხმდებით, რომმმიმწოდებელის საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია, სწავლების მიზნით შესაძლოა გადაცემულ იქნას იურიდიული კომპანიის სტაჟიორებისთვის კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით.

16.3 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით მხარეები აცხადებენ, რომ ამ ხელშეკრულების ყველა პირობა წარმოადგენს მათი ნამდვილი ნების გამოვლენას, ისინი ეთანხმებიან ამ პირობებს და სურთ ხელშეკრულების დადება აღნიშნული პირობებით;

16.4 მხარეები თანხმდებიან მხოლოდ აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისიწინებული პირობების ფარგლებში. არ არსებობს სხვა რაიმე სახის შეთანხმება მხარეთა შორის გარდა აღნიშნული ხელშეკრულებისა, ნებისმიერი სახის ახალი შეთანხმება-პირობა უნდა გაფორმდეს წერილობით.

16.5. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის, პუნქტის, დათქმის, წინადადების და ა.შ. ბათილობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას;

16.6 ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე მხარის მიერ უფლების გამოუყენებლობა არ განიხილება ამ უფლებაზე უარის თქმად;

16.7. ამ ხელშეკრულების საფუძველზეან/და მისგან გამომდინარე ყველა ხელშეკრულება ან/და შეთანხმება და მათი დანართები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მათზე სრულად ვრცელდება ამ ხელშეკრულების ყველა რეგულირება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა ხელშეკრულების, შეთანხმების ან/და დანართის მიზანს არ წარმოადგენს ამ ხელშეკრულების პირობებში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ან თუ მხარეები დამატებით ხელშეკრულებაში, შეთანხმებაში ან/და დანართში არ შეთანხმდებიან ამ წესისგან განსხვავებულ წესზე.

16.8 ხელშეკრულების შესრულების ადგილად განსაზღვრულია იურდიული კომპანიის მისამართი;

16.9 ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ხელშეკრულების თითო-თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

მუხლი 17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*
ერედვის მუნიციპალიტეტი	**შპს ,,OK&CG"**
ს/კ 218065055	**ს/კ** 406053194
მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N89/24	მის: ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონში,
ტელ: 599 339400	ვაზისუბნის 1 მ/რ, კორ. №1, ბინა №105
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა	*სს ,,თი ბი სი"*
ბანკის კოდი: TRESGE22	*ბანკის კოდი: TBCBGE 22*
ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022	*ა/ა GE70TB7715836080100001*
გამგებელი	**დირექტორი**
გამგებელი ოთარ ცოტნიაშვილი	*დავით მუმლაძე*

Eredvi Municipality
Digitally signed by Eredvi Municipality
Date: 2021.02.12 10:10:39 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის
არ არსებობის შესახებ

ქ. თბილისი **12 თებერვალი 2021 წ.**

ჩვენ ქემოთ ხელის მომწერნი, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შპს ,,OK&CG“ - გან იურდიული მომსახურების **(CPV კოდი - 79100000)** შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში, არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელი

---------- ოთარ ცოტნიაშვილი

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

- ---------- ალექსანდრე მაისურაძე